ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01190584186**
თარიღი: **27/02/2019**
პინი: **5420**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2019 წლის 19 თებერვლის #60-01190501856 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დავით კობახიძის საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ბესარიონ გოგუას მიერ წარდგენილი განაცხადის (AR1656058) საფუძველზე, შპს „ახალი თბილისი 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისში, დიდი დიღომი ცენტრალური გზის მიმდებარედ; დიღმის საცდელი მეურნეობა (ს.კ.: 01.72.14.014.942) (სსზ-2)) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის (სასტუმრო, საოფისე) განთავსების მიზნით, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტოპო. გეგმით და მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნით მწვანე ნარგავების იდენტიფიცირება შეუძლებელია. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მის დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (ს.კ.: 01.72.14.014.942) განთავსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა, ასევე ტოპო. გეგმა მასზე საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის შესაბამისად მონიშნული ხეებით და საპროექტო შენობის განთავსების სქემით. აქვე გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს. მოგახსენებთ, რომ მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით, შესაბამისად საპროექტო შენობა განთავსდეს ისე, რომ ტერიტორიაზე შენარჩუნდეს საღი მწვანე ნარგავების მაქსიმალური ოდენობა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი